

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 26

საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე სტანდარტი ეხება საპენსიო პროგრამების ანგარიშგებას, სადაც ასეთი ანგარიშგება მზადდება.
2. საპენსიო პროგრამებს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ ხოლმე. ასე, მაგალითად: „საპენსიო სქემები“, ან „საპენსიო პროგრამები“. ეს სტანდარტი განიხილავს საპენსიო პროგრამას, როგორც ანგარიშვალდებულ ერთეულს, განცალკევებულს პროგრამაში მონაწილე დამქირავებელთაგან. ყველა სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი საპენსიო პროგრამის ანგარიშგებას მხოლოდ იმ ნაწილში ეხება, რომელსაც ვერ ცვლის მოცემული სტანდარტი.
3. წინამდებარე სტანდარტი საპენსიო პროგრამის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას განიხილავს მის ყველა მონაწილესთან, როგორც ერთ მთლიან ჯგუფთან მიმართებაში. სტანდარტი არ ეხება პროგრამის თითოეული მონაწილის ანგარიშგებას, თავიანთი საპენსიო უფლებების შესახებ.
4. ბასს 19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“ - ეხება საპენსიო ხარჯების განსაზღვრას იმ დამქირავებელთა ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროგრამები. ამგვარად, ეს სტანდარტი ავსებს ბასს 19-ს.
5. საპენსიო პროგრამები შესაძლოა არსებობდეს დადგენილშენატანიანი და დადგენილგადასახდელიანი პროგრამის სახით. ბევრი მოითხოვს ცალკე ფონდების შექმნას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი, ჰყავდეს ან არ ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც გადარიცხავს შენატანებს და რომლიდანაც გადაიხდება საპენსიო დახმარება. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, იქმნება თუ არა ასეთი ფონდი და ჰყავს თუ არა მას ნდობით აღჭურვილი პირები.
6. საპენსიო ისეთი პროგრამები, რომლის აქტივები ფინანსდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ექვემდებარება ბუღალტრული აღრიცხვისა და დაფინანსების ისეთივე მოთხოვნებს, როგორც ის პროგრამები, რომლებიც ფინანსდება კერძო ბიზნესის მიერ. შესაბამისად, მოცემული სტანდარტი ამგვარ პროგრამებსაც ეხება, თუ სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება არ არის რომელიმე კონკრეტული მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის სახელზე და საპენსიო გასამრჯელოს ვალდებულება არ წარმოადგენს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობის ობიექტს.
7. მოცემული სტანდარტი არ ეხება მუშაკთა გასამრჯელოს სხვა ფორმებს, როგორცაა მუშაკთა დახმარება სამსახურიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გადავადებულ კომპენსაციაზე, შემწეობა წელთა ნამსახურებისათვის, საპენსიოდ ნაადრევად განთავისუფლების ან პირთა შემცირების პროგრამები, სამედიცინო, სოციალური ან საპრემიო პროგრამები. სტანდარტი არ ვრცელდება აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ღონისძიებებზე.

განმარტებები

8. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

საპენსიო პროგრამა არის შეთანხმება, რომლის თანახმად საწარმო უზრუნველყოფს თავის დაქირავებულ პირთა დახმარებას სამსახურის დამთავრებისთანავე ან სამსახურის შეწყვეტის შემდეგ (ყოველწლიური შემოსავლის ან ერთჯერადი გასამრჯელოს სახით), როდესაც ასეთი გასამრჯელოები, ისევე როგორც შენატანები პროგრამაში, შეიძლება განისაზღვროს ან შეფასდეს წინასწარ, პენსიაზე გასვლამდე, რომელიმე დოკუმენტის ან საწარმოში დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე.

დადგენილშენატანიანი პროგრამა არის საპენსიო პროგრამა, რომლის თანახმადაც საპენსიო გასამრჯელოსთვის გასაცემი თანხები განისაზღვრება საპენსიო ფონდში შენატანებისა და ამ ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე.

დადგენილგადასახდელიანი პროგრამა არის საპენსიო პროგრამა, რომლის თანახმადაც საპენსიო გასამრჯელოსთვის გასაცემი თანხები განისაზღვრება ფორმულით, რომელსაც, ჩვეულებრივ, საფუძვლად უდევს დაქირავებულ პირთა მიერ გამომუშავებული გასამრჯელო და/ან ნამსახურებ წელთა რაოდენობა (სტაჟი).

დაფინანსება ნიშნავს დამქირავებლის საწარმოს მიერ აქტივების გადაცემას ეკონომიკური ერთეულისათვის (*ფონდისათვის*), საწარმოს მომავალი საპენსიო ვალდებულებების შესრულების მიზნით.

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება შემდეგი ცნებები:

მონაწილეები არიან საპენსიო პროგრამების წევრები და სხვა პირები, რომელთაც პროგრამის შესაბამისად საპენსიო გასამრჯელოების მიღების უფლება აქვთ.

საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები მოიცავს პროგრამის აქტივებს, საიდანაც გამოქვითულია ნებისმიერი ვალდებულება, გარდა შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულებისა.

შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული დღევანდელი ღირებულება არის საპენსიო პროგრამის შესაბამისად გადასახდელი თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გაიცემა ამჟამინდელ დაქირავებულ პირებსა და წარსულში მომუშავეებზე, უკვე გაწეული მომსახურებისათვის.

გარანტირებული გასამრჯელოები ის გასამრჯელოებია, რომლებზეც უფლებები, საპენსიო პროგრამის შესაბამისად, დაკავშირებული არ არის სამსახურის ვადის გაგრძელებასთან.

9. ზოგიერთ საპენსიო პროგრამას, დამქირავებლის გარდა, სხვა სპონსორებიც ჰყავს. მოცემული სტანდარტი ამგვარი პროგრამების ანგარიშგებასაც ეხება.
10. საპენსიო პროგრამების უმრავლესობა დაფუძნებულია ოფიციალურ შეთანხმებებზე. ზოგიერთი კი შესაძლებელია არაოფიციალური იყოს, მაგრამ მათი ვალდებულებების ხარისხი გამომდინარეობდეს დამქირავებელი საწარმოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პროგრამა დამქირავებლებს პროგრამაში თავისი ვალდებულებების შეზღუდვის უფლებას აძლევს, ჩვეულებრივ, დამქირავებელს მაინც უჭირს პროგრამის გაუქმება, თუკი მათ დაქირავებულთა შენარჩუნება სჭირდებათ. ორივე ტიპის პროგრამისთვის, ოფიციალურისა და არაოფიციალურისთვისაც, გამოიყენება აღრიცხვა-ანგარიშგების ერთი და იგივე მეთოდური საფუძვლები.
11. საპენსიო პროგრამების უმრავლესობა გულისხმობს ცალკე, დამოუკიდებელი ფონდის ფორმირებას, რომელშიც შეაქვთ შენატანები და საიდანაც ხდება გასამრჯელოების გადახდა. ამგვარ ფონდებს შესაძლოა მართავდნენ პირები, რომლებიც დამოუკიდებლად განკარგავენ ფონდის აქტივებს. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პირებს ნდობით აღჭურვილ პირებს უწოდებენ. ცნება ნდობით აღჭურვილი პირი მოცემულ სტანდარტში გამოიყენება ამგვარი პირების დასახასიათებლად, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელი ერთეული ფორმირებულია თუ არა.
12. საპენსიო პროგრამები, ჩვეულებრივ, არსებობს დადგენილშენატანიანი ან დადგენილგადასახდელიანი პროგრამის სახით. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია. ზოგჯერ ისეთ პროგრამებსაც ვხვდებით, რომლებსაც ორივე სახის პროგრამის ნიშან-თვისებები ახასიათებს. ამგვარი ჰიბრიდული პროგრამებიც მოცემულ სტანდარტში დადგენილგადასახდელიან პროგრამებად განიხილება.

დადგენილშენატანიანი პროგრამები

13. დადგენილშენატანიანი პროგრამის ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ანგარიშგებას სახეზე არსებული გასამრჯელოების წმინდა აქტივების შესახებ და ფონდის დაფინანსების პოლიტიკის აღწერას.

14. დადგენილშენატანიან პროგრამაში მისი მონაწილის სამომავლო გასამრჯელოს თანხა განისაზღვრება დამქირავებლის ან მონაწილის, ან ორივე მხარის შენატანებით, აგრეთვე ფონდის საქმიანობის შედეგებითა და საინვესტიციო შემოსავლებით. დამქირავებლის ვალდებულება, ჩვეულებრივ, იფარება ფონდში განხორციელებული შენატანებით. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საჭირო არ არის აქტუარის კონსულტაციები; თუმცა, ზოგჯერ მაინც გამოიყენება ამგვარი კონსულტაცია იმ სამომავლო გასამრჯელოს სიდიდის შესაფასებლად, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მიმდინარე შენატანების, სამომავლო შენატანებისა და საინვესტიციო შემოსავლების ცვალებადი დონეების პირობებში.
15. მონაწილეები დაინტერესებულნი არიან ფონდის საქმიანობით, რადგან იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მათი სამომავლო გასამრჯელოების დონეზე. მონაწილეებს აინტერესებთ, შემოსულია თუ არა ფონდში შენატანები და ხორციელდება თუ არა ამ თანხების სათანადო კონტროლი იმ თვალსაზრისით, რომ დაცული იყოს პროგრამის მონაწილეთა უფლებები. დამქირავებელი დაინტერესებულია პროგრამის ოპერაციების მოგებიანობითა და კანონიერებით.
16. დადგენილშენატანიანი პროგრამის ანგარიშგების მიზანი ის არის, რომ პერიოდულად ხდებოდეს ინფორმაციის წარდგენა პროგრამისა და მისი ინვესტიციების შედეგების შესახებ. აღნიშნული მიზნის მიღწევა, ჩვეულებრივ, შესაძლებელია ისეთი ანგარიშგების წარდგენით, რომელიც მოიცავს:
 - ა) საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და ნებისმიერი ცვლილების შედეგების აღწერას, რომელიც ეხება პროგრამას, მონაწილეებს, ვადებსა და პირობებს;
 - ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის;
 - გ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

დადგენილგადასახდელიანი პროგრამები

17. დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:
 - ა) ანგარიშგებას, რომელშიც ასახული იქნება:
 - (i) გასამრჯელოების გასაცემად არსებული წმინდა აქტივები;
 - (ii) შეპირებული გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება, სადაც გამიჯნული იქნება გარანტირებული და არაგარანტირებული გასამრჯელოები;
 - (iii) საბოლოო ნამეტი ან დეფიციტი; ან
 - ბ) ანგარიშგებას გასამრჯელოების გასაცემად არსებული წმინდა აქტივების შესახებ, სადაც მოცემული იქნება:
 - (i) ანგარიშგება შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულების შესახებ, სადაც გამიჯნული იქნება უკვე გარანტირებული და არაგარანტირებული გასამრჯელოების თანხები; ან
 - (ii) აღნიშნულ ინფორმაციაზე თანმხლები აქტუარული ანგარიშგების მითითება.

თუ აქტუარული შეფასება ანგარიშგების თარიღისათვის მზად არ არის, მაშინ ზაზად აღებულ უნდა იქნეს არსებული შეფასებებიდან ყველაზე უახლესი და განმარტებით შენიშვნებში მიეთითოს შესაბამისი თარიღი.
18. მე-17 პუნქტის მიზნებისათვის, შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება უნდა ეყრდნობოდეს დაქირავებულ პირთა მიერ მოცემული თარიღისათვის გაწეული მომსახურების მიხედვით პროგრამის პირობების შესაბამის გასამრჯელოს თანხებს და მიმდინარე ან დაგეგმილი ხელფასის დონეებს, გამოყენებული მეთოდის ახსნით. აქტუარულ შეფასებებში მომხდარი ნებისმიერი ისეთი ცვლილების შედეგი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარულ დღევანდელ ღირებულებაზე, ასევე უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

19. ანგარიშგებაში ახსნილი უნდა იყოს კავშირი პროგრამით შეპირებულ საპენსიო გასამრჯელოების აქტუარულ დღევანდელ ღირებულებასა და გასამრჯელოსათვის განკუთვნილ წმინდა აქტივებს შორის, ასევე ამ გასამრჯელოების დაფინანსების პოლიტიკა.
20. დადგენილგადასახდელიან პროგრამებში, შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების გადახდა და-მოკიდებულია პროგრამის ფინანსურ მდგომარეობასა და მონაწილეთა უნარზე, განახორციელონ შენატანები ამ პროგრამაში, აგრეთვე ინვესტიციების შედეგებსა და პროგრამის საოპერაციო ეფექ-ტიანობაზე.
21. დადგენილგადასახდელიან პროგრამებში აუცილებელია პერიოდული კონსულტაციების მიღება აქტუარებისაგან, რათა მათ შეაფასონ პროგრამის ფინანსური მდგომარეობა, გადაამოწმონ ვალდე-ბულებები და სამომავლო შენატანების სარეკომენდაციო დონეები.
22. დადგენილგადასახდელიანი პროგრამების ანგარიშგების მიზანია, პერიოდულად უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია, დროის გარკვე-ულ პერიოდში დაგროვილ რესურსებსა და პროგრამით გათვალისწინებულ გასამრჯელოებს შო-რის თანაფარდობის შესაფასებლად. ჩვეულებრივ, აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ან-გარიშის წარდგენით, რომელიც მოიცავს:
 - ა) ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი საქმიანობისა და ნებისმიერი ცვლილე-ბის შედეგების შესახებ, რომელიც ეხება პროგრამას, მის შემადგენლობას, ვადებსა და პირო-ბებს;
 - ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგ-რეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის დასასრუ-ლისათვის;
 - გ) აქტუარებისაგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ჩართული იქნება ანგარიშგებაში ან წარ-დგენილი იქნება ცალკე ანგარიშგების სახით;
 - დ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება

23. საპენსიო პროგრამით მოსალოდნელი სამომავლო გადახდების დღევანდელი ღირებულების გაან-გარიშება და წარდგენა შესაძლებელია ხელფასის მიმდინარე დონის საფუძველზე, ან პროგრამის მონაწილეთა ხელფასის საპროგნოზო დონის მიხედვით, რომელიც ეხება მათი სამსახურის მთელ პერიოდს, პენსიაზე გასვლამდე.
24. ხელფასის მიმდინარე დონის გამოყენება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:
 - ა) შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება, რაც იმ თანხების ჯამია, რომელიც მოცემულ მომენტში მოდის პროგრამის თითოეულ მონაწილეზე, შეიძლება უფრო ობიექტურად გაანგარიშდეს, ვიდრე დაგეგმილი ხელფასის დონეების გამო-ყენებით, რადგან ნაკლები დაშვებებია გასათვალისწინებელი;
 - ბ) ხელფასის გადიდების შედეგად წარმოშობილი საპენსიო გასამრჯელოების ზრდა წარმოად-გენს საპენსიო პროგრამის ვალდებულებას ხელფასის გადიდების მომენტიდან;
 - გ) პროგრამით შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული დღევანდელი ღირებულების გამოთვლა, მიმდინარე პერიოდის ხელფასის დონის საფუძველზე, საერთოდ, უფრო მჭიდ-როდ უკავშირდება თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს პროგრამის ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში.
25. ხელფასის საპროგნოზო დონის გამოყენებას განაპირობებს შემდეგი მიზეზები:
 - ა) ფინანსური ინფორმაცია მომზადებული უნდა იყოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, მიუხედავად იმ დაშვებებისა და შეფასებებისა, რომელიც უნდა გა-კეთდეს;
 - ბ) საბოლოო ანაზღაურების პრინციპის პროგრამისათვის გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრე-ბა პენსიაზე გასვლის მომენტისათვის ან მის წინა უახლესი პერიოდისათვის არსებული ხელ-ფასის საფუძველზე; ამიტომ ხელფასის სიდიდე, შენატანების დონე და მოგების ნორმა უნდა იქნეს პროგნოზირებული; და

- გ) ხელფასის საპროგნოზო დონეების გაუთვალისწინებლობამ, როდესაც დაფინანსება, უმეტეს შემთხვევაში, ხდება ხელფასის საპროგნოზო დონის მიხედვით, შესაძლოა გამოიწვიოს ანგარიშგებაში ჭარბი დაფინანსების ასახვა, სინამდვილეში კი არ იყოს ასეთი დაფინანსება. ან პირიქით, ანგარიშგებაში აისახოს ადეკვატური დაფინანსება, ხოლო პროგრამა საკმარისად არ იყოს დაფინანსებული.
26. პროგრამის ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს პროგრამით შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოთვლილია მიმდინარე ხელფასის დონის საფუძველზე, რათა გამოჩნდეს საპენსიო გასამრჯელოს ის ვალდებულებები, რომლებიც არსებობს ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. ასევე უნდა აისახოს შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული ღირებულება, რომელიც გამოთვლილია ხელფასის საპროგნოზო დონეების მიხედვით, რათა გამოჩნდეს პოტენციური ვალდებულების სიდიდე, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, რაც, როგორც წესი, საპენსიო ფონდის დაფინანსების საფუძველია. შეპირებული პენსიების აქტუარული დღევანდელი ღირებულების გარდა, განმარტებით შენიშვნებში შესაძლოა საჭირო გახდეს ფართო განმარტებების გაკეთება, რათა უფრო ნათელი გახდეს მომხმარებლისათვის, რა კონტექსტში უნდა იქნეს წაკითხული ინფორმაცია, შეპირებული პენსიების აქტუარული დღევანდელი ღირებულების შესახებ. ამგვარი განმარტებები შესაძლოა შეიცავდეს ინფორმაციას პროგრამის საპროგნოზო სამომავლო დაფინანსებისა და ხელფასის საპროგნოზო დონეებზე დაფუძნებული დაფინანსების პოლიტიკის ადეკვატურობის შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება ჩაირთოს ფინანსურ ინფორმაციაში ან აქტუარის ანგარიშგებაში.

აქტუარული შეფასებების პერიოდულობა

27. მრავალ ქვეყანაში აქტუარული შეფასებები ხორციელდება სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. თუ აქტუარული შეფასებები ანგარიშგების თარიღისათვის მზად არ არის, გაანგარიშებების ბაზად გამოიყენება ყველაზე უახლოესი პერიოდის აქტუარული შეფასებები და მიეთითება შეფასების თარიღი.

ფინანსური ანგარიშგების შინაარსი

28. დადგენილგადასახდელიანი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წარდგენა ხდება ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ფორმატით. თითოეული ფორმატი ითვალისწინებს აქტუარული ინფორმაციის შესახებ განმარტებითი შენიშვნისა და წარდგენის პრაქტიკაში დამკვიდრებულ სხვადასხვა მეთოდებს:
- ა) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დანაყოფს, რომელიც გვიჩვენებს საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებს, შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარულ დღევანდელ ღირებულებას და საშედეგო ნამეტს ან დეფიციტს. პროგრამის ანგარიშგება მოიცავს აგრეთვე ინფორმაციას პენსიებისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივებისა და შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულებების ცვლილებების შესახებ. ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება ჩაირთოს აქტუარების ცალკე ანგარიშგება, რომელიც დაადასტურებს შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარულ დღევანდელ ღირებულებას;
 - ბ) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივების შესახებ და ანგარიშგებას ამ აქტივების ცვლილების შესახებ. შეპირებული პენსიების აქტუარული დღევანდელი ღირებულება აისახება ანგარიშგების შენიშვნის სახით. საპენსიო პროგრამის ფინანსური ანგარიშგება შეიძლება აგრეთვე მოიცავდეს აქტუარის ანგარიშს, შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულების დადასტურების მიზნით;
 - გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივებისა და ამ აქტივების ცვლილების შესახებ, შეპირებული პენსიების აქტუარულ დღევანდელ ღირებულებასთან ერთად, რომელიც წარდგენილია ცალკე აქტუარის ანგარიშში.

ანგარიშის თითოეულ ფორმატს ასევე შესაძლებელია ახლდეს ნდობით აღჭურვილი პირის ანგარიშში, მენეჯერების ან დირექტორების ანგარიშში და საინვესტიციო ანგარიშში.

29. 28 (ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი ფორმატების მომხრე სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ შეპირებული პენსიების რაოდენობრივი განსაზღვრა და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ანგარიშგების აღნიშნული ფორმატებით მიიღება, მომხმარებელს ეხმარება პროგრამის მიმდინარე მდგომარეობისა და მომავალი ვალდებულებების მოსალოდნელი შესრულების ალბათობის შეფასებაში. ისინი აგრეთვე ამტკიცებენ, რომ ფინანსური ანგარიშგება, თავისთავად, სრულყოფილი უნდა იყოს და არ უნდა ეყრდნობოდეს თანმხლებ ანგარიშგებას. მაგრამ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, 28(ა) პუნქტში აღწერილი მეთოდიკის საფუძველზე, მომხმარებელს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ვალდებულება არსებობს, მაშინ, როცა შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარულ დღევანდელ ღირებულებას არ გააჩნია ვალდებულების ყველა თვისება.
30. 28 (გ) პუნქტში აღწერილი მიდგომის მომხრენი ირწმუნებიან, რომ პროგრამით შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს აქტუარული დღევანდელი ღირებულება არ შეიძლება ჩაირთოს საპენსიო გასამრჯელოსათვის განკუთვნილი წმინდა აქტივების ანგარიშგებაში, როგორც აღწერილია 28 (ა) ან 28 (ბ) პუნქტებში, რადგან იგი პირდაპირ გაუტოლდება პროგრამის აქტივებს და ასეთი შედარება შესაძლოა მართებული აღარ იყოს. ისინი ამტკიცებენ, რომ აუცილებელი არ არის აქტუარებმა შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება შეუდარონ ინვესტიციების საბაზრო ღირებულებას, მაგრამ შესაძლოა ამის ნაცვლად შეაფასონ ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. ამიტომ აღნიშნული ფორმატის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ასეთი შედარება შეიძლება ზუსტად ვერ ასახავდეს საპენსიო პროგრამის აქტუარულ საერთო შეფასებას და შესაძლებელია არასწორად იქნეს გაგებული. ამასთან, ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ იმის მიუხედავად, თუ როგორ იქნება განსაზღვრული შეპირებული საპენსიო გასამრჯელოს თანხები, აუცილებელია აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილ იქნეს მხოლოდ აქტუარის ანგარიშის სახით, სადაც მოცემული იქნება შესაბამისი განმარტებაც.
31. წინამდებარე სტანდარტი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შეპირებულ საპენსიო გასამრჯელოებთან დაკავშირებული ინფორმაცია ცალკე, აქტუარის ანგარიშის სახით, უნდა იყოს წარმოდგენილი. სტანდარტით უარყოფილია ის მოსაზრებები, რომლის მიხედვით საჭიროდ არ ითვლება შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულების განსაზღვრა. შესაბამისად, 28 (ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი ფორმატი ისევე მისაღება მოცემული სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, როგორც 28 (გ) პუნქტში აღწერილი, იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ინფორმაცია შეიცავს მინიშნებას აქტუარის ანგარიშზე და თან ერთვის აქტუარის ანგარიში, რომელიც შეიცავს შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარულ დღევანდელ ღირებულებას.

ყველა ტიპის პროგრამისათვის

პროგრამის აქტივების შეფასება

32. საპენსიო პროგრამების ინვესტიციები რეალური ღირებულებით უნდა აისახოს. საბაზრო ფასიანი ქაღალდებისთვის რეალური ღირებულება მათი საბაზრო ფასია. როდესაც პროგრამის ინვესტიციები ისეთია, რომ შეუძლებელია მათი რეალური ღირებულების დადგენა, განმარტებით შენიშვნებში უნდა დასაბუთდეს, რატომ არ იქნა გამოყენებული რეალური ღირებულება.
33. საბაზრო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულება, ჩვეულებრივ, საბაზრო ღირებულებაა, რადგან საბაზრო ღირებულება საანგარიშგებო თარიღისათვის ფასიანი ქაღალდებისა და საანგარიშგებო პერიოდის ინვესტიციების შედეგების შეფასების ყველაზე მისაღები მეთოდია. ის ფასიანი ქაღალდები, რომელსაც ფიქსირებული გამოსასყიდი ღირებულება აქვს და შეძენილია პროგრამის ან მისი გარკვეული ნაწილების მოთხოვნების შესაბამისად, შეიძლება აისახოს მათი საბოლოო გამოსყიდვის ღირებულებით, იმ ვარაუდით, რომ მოგების განაკვეთის მუდმივი დონე შენარჩუნებულია. როცა შეუძლებელია პროგრამის ინვესტიციების რეალური ღირებულების შეფასება, მაგალითად, საწარმოს სრული მფლობელობისას განმარტებითი შენიშვნა უნდა გაკეთდეს იმის დასაბუთებლად, თუ რატომ არაა გამოყენებული რეალური ღირებულება. განმარტებით შენიშვნებში, როგორც წესი, უნდა გამოყენდეს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულება, რომელიც აღირიცხება არასაბაზრო ან არარეალური ღირებულებით. ფონდის საქმიანობაში გამოყენებული აქტივები აღირიცხება შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე.

განმარტებითი შენიშვნები

34. რა სახითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი საპენსიო პროგრამა (დადგენილშენატანიანი თუ დადგენილგადასახდელიანი პროგრამა), ფინანსური ანგარიშგება ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციასაც:
- ა) ანგარიშგებას საპენსიო გასამრჯელოსათვის განკუთვნილი არსებული წმინდა აქტივების ცვლილების შესახებ;
 - ბ) ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას; და
 - გ) პროგრამის შინაარსისა და საანგარიშგებო პერიოდში პროგრამაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შედეგების აღწერას.
35. საპენსიო პროგრამის საფუძველზე შედგენილ ანგარიშგებაში, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ოფიციალური ანგარიშგება საპენსიო გასამრჯელოებისთვის განკუთვნილი არსებული წმინდა აქტივების შესახებ, რომელიც გვიჩვენებს:
 - (i) სათანადო წესით კლასიფიცირებულ აქტივებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრული-სათვის;
 - (ii) აქტივების შეფასების მეთოდს;
 - (iii) დეტალურ ცნობას ნებისმიერი ცალკეული ინვესტიციის შესახებ, რომელიც აღმატება პენსიებისათვის განკუთვნილი არსებული წმინდა აქტივების 5%-ს, ან ნებისმიერი კლასისა და ტიპის ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების 5%-ს;
 - (iv) დეტალურ ცნობას დამქირავებლებში ნებისმიერი ინვესტიციების შესახებ;
 - (v) სხვა ვალდებულებებს შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულების გარდა;
 - ბ) ანგარიშგებას საპენსიო გასამრჯელოსათვის განკუთვნილი, ხელმისაწვდომი წმინდა აქტივების ცვლილების შესახებ, სადაც მოცემული იქნება:
 - (i) დამქირავებელთა შენატანები;
 - (ii) დაქირავებულ პირთა შენატანები;
 - (iii) შემოსავალი ინვესტიციებიდან, როგორცაა პროცენტი და დივიდენდები;
 - (iv) სხვა შემოსავალი;
 - (v) გადახდილი ან გადასახდელი საპენსიო გასამრჯელოები (შესაბამისად, გაანალიზებულ-ლი, მაგალითად, სიკვდილის დროს გაცემული საპენსიო გასამრჯელოების, მოხუცებულობის, შრომისუნარიანობის დაკარგვისა და ერთიანი გასამრჯელოს მიხედვით);
 - (vi) ადმინისტრაციული ხარჯები;
 - (vii) სხვა ხარჯები;
 - (viii) შემოსავლებიდან გადასახადები;
 - (ix) მოგება ან ზარალი ინვესტიციების შექმნიდან და ცვლილებები ინვესტიციების ღირებულებაში; და
 - (x) ტრანსფერი სხვა პროგრამიდან ან პირიქით, სხვა პროგრამებში;
 - გ) დაფინანსების პოლიტიკის აღწერა;
 - დ) დადგენილგადასახდელიანი პროგრამებისათვის – შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულება (რომელიც იყოფა გარანტირებულ და არაგარანტირებულ გასამრჯელოებად), რომელიც პროგრამით დადგენილი პირობების მიხედვით დამოკიდებულია მოცემული დღისათვის გაწეულ საერთო მომსახურებასა და ხელფასის მიმდინარე ან საპროგნოზო დონის გამოყენებაზე; ეს ინფორმაცია შეიძლება ჩაირთოს თანდართული

აქტუარის ანგარიშგებაში, რომელიც წაკითხულ უნდა იქნეს შესაბამის ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად; და

- ე) დადგენილგადასახდელიანი პროგრამებისათვის - მნიშვნელოვანი აქტუარული დაშვებების და შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აქტუარული დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოყენებული მეთოდის აღწერა.
36. საპენსიო პროგრამის ანგარიშგებაში შედის პროგრამის აღწერა, ფინანსური ინფორმაციის შემადგენელი ნაწილის ან ცალკე ანგარიშგების ფორმით. ანგარიშგებაში შესაძლოა აისახოს:
- ა) დამქირავებლისა და იმ მუშაკთა ჯგუფის დასახელება, ვისაც მოცემული პროგრამა ეხება;
 - ბ) იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც გასამრჯელოებს იღებენ და სხვა დანარჩენ მონაწილეთა რაოდენობა, რომლებიც სათანადო წესით არიან კლასიფიცირებულნი;
 - გ) პროგრამის ტიპი - დადგენილგადასახდელიანი ან დადგენილშენატანიანი პროგრამა;
 - დ) შენიშვნა იმის შესახებ, შეაქვთ თუ არა მონაწილეებს შენატანები პროგრამაში;
 - ე) მონაწილეთათვის შეპირებული საპენსიო გასამრჯელოების აღწერა;
 - ვ) ნებისმიერი პროგრამის ვადის შეწყვეტის პირობების აღწერა; და
 - ზ) (ა) და (ვ) პუნქტებში მომხდარი ცვლილებები ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ხშირად უთითებენ ხოლმე სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის და სადაც აღწერილია პროგრამა. ანგარიშგებაში მხოლოდ იმ ინფორმაციას ამჟღავნებენ, რომელიც ეხება პროგრამის ცვლილებებს მომდევნო პერიოდებში.

ძალაში შესვლის თარიღი

- 37. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის იმ ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 1988 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებს.